სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

05 ივნისი, 2024 წელი

ბრძანება №01-10/62

„ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 26 იანვრის №01-10/05 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების,** ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორების დანიშვნისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 11 ოქტომბრის №01-02/171 ბრძანების,** ბსუ-ს ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ სკოლამდელი აღზრდის მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის - „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 01 ივლისის №01-02/101 ბრძანების,** პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ მასწავლებელთა გადამზადებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულების კოორდინატორის, ასოც. პროფ. თემურ ავალიანის 2024 წლის 31 მაისის №601220 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **2024 წლის 26 იანვრის №01-10/05 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება,** კერძოდ, **ბრძანების** პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით, შემდეგნაირად:
   ,,ბ) N2 **დანართი - ხარჯთაღრიცხვა** 25 მსმენელის შემადგენლობით ჯგუფის პირისპირ სწავლების ფორმატისათვის, **სახელმწიფო დაფინანსებით ბსუ-ს მიერ გასაწევი მომსახურების შემთხვევისათვის/შესყიდვების სატენდერო განაცხადის წარდგენის შემთხვევისათვის** (საკონტაქტო/სატრენინგო 66 საათი; ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა არანაკლებ 10, არაუმეტეს 25; სწავლის საფასური 1 მსმენელზე 298 ლარი (შესყიდვებში მონაწილეობის შემთხვევაში ბსუ-ს წინადადების წარდგენისას კანცლერთან შეთანხმებით დასაშვებია <u>განსხვავებული</u> სწავლის საფასურის მითითება, ასევე ტრენინგების <u>ქალაქგარეთ</u> ჩატარების შემთხვევაში ტრენერის შრომის ანაზღაურება, სამგზავრო ხარჯების გათვალისწინებით, შესაძლებელია იყოს უფრო მეტი, ვიდრე განსაზღვრულია 25 მსმენელზე გაანგარიშებული პირველადი ხარჯთაღრიცხვით (ქობულეთში/ხელვაჩაურში - 2 ლარით მეტი; ქედა/შუახევში- 4 ლარით მეტი; ხულოში - 6 ლარით მეტი);“.
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორს, რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრებს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს

(კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
ასოცირებული პროფესორი

მ. დიასამიძე